“მედიანიუსი” ვთავაზობთ ინფორმაციებს პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, კონფლიქტოლოგიის და გარემოს დაცვის სფეროებში. დღის აქტუალურ საკითხებზე სააგენტო ამზადებს სპეციალურ გამოშვებებს, ინტერვიუებს, ექსპერტთა აზრს.

“მედიანიუსი” ცდილობს ინფორმაციის მომზადებისას იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი.

საინფორმაციო სააგენტო “მედიანიუსი”-ის ვებ-გვერდზე მომხმარებელს შეუძლია განათავსოს სარეკლამო ბანერი, სარეკლამო მასალა, მათ შორის ინტერვიუ, მოამზადოს სარეკლამო მინი-გვერდი.

ჩუბინაშვილის ქ. №41, თბილისი, ტელ.: 94 21 22, 91 11 81

www.medianews.ge; medianews@gol.ge



- Разработка и проведение рекламных кампаний;
- Организация концертов, фестивалей, корпоративных вечеринок, презентаций, выставок, конференций.

- Индивидуальный подход к каждому клиенту и партнеру;
- Профессионализм в работе, оригинальность, творчество во всем.



РЕКЛАМНО-ПРОДЮСЕРСКИЙ ЦЕНТР

тел./факс (044)237-12-24

моб.38(050)358-24-30,(097)96-96-690

E-mail:intermediacompany@gmail.com

INTERMEDIA COMPANY

www.intermedia.in.ua

გურამიშვილის დაბრუნება

რაულ ჩილაჩავა

Повернення Гурамишвілі

Раул Чілачава

იგი კვდებოდა ბებერი და მზერადაშრეტილი, უბოვარი და მარტოსული, უშვილძირო, უოჭახო, უსამშობლო. გარეთ პაპანაქება სიკვდილს იღვებოდა, ხოროლის მდარე ტალღები უხმოდ გარინდულოყენენ ლერწმოვან კალაპოტში. ჩუმად, შეუმჩნევად ინავლებოდა ტანჯული სული კაცისა, რომლის ცხოვრებაც ერთი გაბმული ღრამი გახლდათ: დიდგვაროვანის ოჯახში დაბადებული თავადის ნაცვლად ლეკების ტყვე გახდა, მერე კი – ლტოლილი, ემიგრანტი, უცხო არმიის ჯარისკაცი, ერთხელ კიდევ იწვნია ბოლომდე ტყვეობისა და დამცირების სამსალა, იგრძნო სხვათა ბრძოლის ველზე გამოჩენილი სიმამაცის სრული უზარობა. რა გენა, უკან დასაბრუნებელი გზა მოჭრილი იყო, ამიტომ ისევ და ისევ კაზმავდა ჰუნეს და ქართველ ჰუსართა პოლკთან ერთად ჭაფრს მატებდა რუსულ იარაღს ბესარაბიაში, ფინეთში, პრუსიაში... მხოლოდ სიცოცხლის შეუდღეს გადაცალკეულმა, არმიაში 23-წლიანი სამსახურის შემდეგ, სადაც ძლიერს მიაღწია პორუჩიკის ჩინამდე, იგი საბოლოოდ დაუბრუნდა მორგორდის და დაემკვიდრა თვით »

Він помирав. Старий і втративший зір, не маючи нічого і самотній, бездітний, без сім'ї, без Батьківщини... На дворі стояла задушлива спека, неквапливі хвилі Хорола беззвучно причаїлися серед очерету в руслі. Тихо і непомітно відходила душа людини, все життя якої було однією неперервною драмою.

Народившись у знатній сім'ї, він мав стати князем – натомість потрапив у полон до лезгинів, по тому став біженцем, емігрантом, вояком чужої армії, іще раз до кінця випив отруту полону й приниження, повністю відчув всю безглуздість своєї хоробрості на чужій війні. Нічого не поробиш – шляху для повернення назад вже не було, тому знов і знов сідлав він коня і разом з грузинським гусарським полком додавав міці російській зброї в Бесарабії, Фінляндії, Прусії... І лишень після опівдня свого життя, по 23 роках служби в армії, де ледь дослужився він до звання поручика, він остаточно повернувся в Миргород і осів на землі, що її подарував йому сам імператор. Саме тут, під дахом свого бідного дому, прощався зі світом »



გოგმის (XIV-XVI სს.) ალექსანდრეს კოშკი
Греми (XIV-XVI ст.), Вежа Олександра

ხელმწიფე-იმპერატორის მიერ ნაბიჯზე მამულში. და სწორედ აქ, თავის მოკრძალებულ ჭერქვეშ ეთხოვებოდა სანუტრის გადამღვარი პორუჩიკი და ყველასათვის უცნობი შემოქმედი, რომლის გენიალობასაც მაშინ, ალბათ, ვერაინ ხვდებოდა უკვე მისგან ორ ნაბიჯზე ირწვოდა არყოფნის შავი აჩრდილი, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ღვიოდა იმედის ნაპერწკალი, რომ მისი ობოლი წიგნი საქართველომდე ჩააწვებოდა. მას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო სკდინოდა თუ რა შეემთხვა გზაში იმ "ობლის" – ლექსებისა და პოემების კრებული "დავითიანის" – ერთადერთ ხელნაწერს, რომელიც პირადად ახლა საქართველოს ელჩს – მეფისწულ მირიანს, მისი კრემენჩუგში, ფელდმარშალ პოტიომკინის ბანაკში სტუმრობისას. უკან მობრუნებული ელჩის ნაგი მდინარე დონზე თურმე გადაბრუნდა და ხელნაწერი ტალღებმა გაიტაცეს. მირიანი ცურვით გამოეყვინა და იხსნა იგი. "დავითიანმა" ჩააღწია სამშობლომდე და თანამემამულეებს აუწყა ავტორის შესახებ. ეს ცნობა რომ მოსვლოდა, სიკვდილსაც აღარ დაინანებდა. იგი გონებაში ფურცლაგვდა თავის სანუგვარ ხელნაწერს, გულმოდგინედ რომ გადაათვლიდა პოლტავეური ზამთრის თოვლიან ღამეებში. იქიდან მას შემოჰყურებდა საკუთარი კარიკატურული გამოსახულება, ავტომარევი, რომელიც მშენებარების თუ მხიარული განწყობის ჟამს შეეცმნა. და ეს სასაცილო კაცი მისივე ხმით ალაგვინდა ბრძნულ და გონებაბავილოურ, ნაღვლიან და მხიარულ სტრიქონებს. წარმოასახლო მკითხველებს იგი ხან საკუთარ თავგადასავლებს უამბობდა, ხანაც პოეტურ გამოცდილებას უზიარებდა, ხან კიდევ ქართველ უფალთა მეგაერტლობის ივანეს მოუთხრობდა, რომლის თანახმადაც ისინი ბიბლიური მეფე დავითის შთამომავლები იყვნენ, ხან სულაც ამუნათებდა სწავლის მძებნელთ. თითქმის შორეულ ნისლეში ყვინთავდნენ უზრუნველი სიყრმისა და მღელვარე სიჭაბუკის სურათები, როცა მშობლიურ მინას უმონყალიოდ ახერხებდნენ გადამთილო მოთარაშენი. მიხეილილ შხერას გამოეცხადა მისი ოდინდელი პატრონის ვახტანგ VI ტრავიკული სახეა, რომელსაც გადასახლებაში ამაღლ ემედებოდა რუსეთის გვირგვინის პოლიტიკური და სამხედრო მხარდაჭერა. ბერული სმენა ჭერ კიდევ არჩევიდა ხმლების წვრილს და ცხენების ჭიხვის, ქვემეხთა ქუხილის და დაჭრილთა კეხისას. "ქართლის ჭირის" ბატალიებს, რომლებიც შემდგომში გადაევიშლიან XVIII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ მოვლენათა არა მარტო მაღალმხატვრულ, არამედ ისტორიოლოგიკ სანდო პანორამას, ენაცვლებოდა სხვა პოემის – "ქაცვია მწყემსის" ანუ "მხიარული ზაფხულის" ბუკალიკური პეზანტები, სადაც ნებით თუ უნებლიეთ ერთმანეთს ერწყმოდა ქართულ-უკრაინული სასიერები, ჟღერდნენ უკრაინული და რუსული სიმღერების მოტივებზე შექმნილი ლექსები. მშინიერი ყოფის სამანთან მდგარი ეჭვებს შეეპყრო: სწორად გალია თუ არა თავისი 87 წელიწადი, თუ გაიხსენებენ მას საკუთარ სამშობლოში?



відставний поручик і невідомий усім митець, про геніальність якого тоді, певно, ще ніхто не здогадувався. Вже у двох кроках від нього чорною тінню хиталося небуття, але у глибині серця все ж жевріла надія, що попри все його осиротіла книга дійде до Грузії. Він, звичайно ж, не міг знати що сталося у дорозі з єдиним рукописом тієї «сироти» - збірки віршів і поем «Давітіані» - що його він особисто віддав послу Грузії царевичу Міріану, коли той був гостем у фельдмаршала Потьомкіна в Кременчугу. Виявляється, що на річці Дон човен посла перевернувся і рукопис понесло по воді. Міріам кинувся у воду, вплавав на-здогнав рукопис і врятував «Давітіані», а діставшись Грузії сповістив співвітчизникам про свого автора. Якби Гурамишвілі знав про це, певно вже не шкодував би про смерть. Він подумки гортав свій рукопис, який він старанно переписав набіло сніжними ночами полтавської зими. З неї дивилося на нього власне карикатурне зображення, автошарж, що він його створював у доброму й поганому гуморі. І ця смішна людина його ж голосом читала мудрі й дотепні, сумні й веселі рядки. Уявним читачам він то розповідав про свої пригоди, то ділився з ними поетичним досвідом, то розповідав легенду про походження грузинських царів, за якою вони були нащадками біблійного царя Давида, а подекуди й просто повчав тих, хто шукав знання. Ніби-то у далені, туманами були оповиті картини безпечно-го дитинства та буремної юності, коли рідну землю без жалю спустошували чужоземні розбійники. Перед взором, що вже стухав, постала трагічна уява постаті його патрона останніх років - Вахтанга VI, який на чужині даремно сподівався на політичну та військову підтримку володаря російської корони. Слух старого все ще розбирав дзвін мечей та іржання коней, гуркіт гармат та стогін ранених. Баталії «Лихоліття Грузії», які лише згодом покажуть не лише високохудожній, але й історично вірний нарис політичних подій Грузії XVIII століття, змінювалися

ყოველი შემთხვევისთვის გალექსა "საფლავის ქვაზე დასაწერი", რომელშიც იხსენებდა ზედაზნისა და შიო მღვდის სახელ-გალაგებით დამძევებულ საგვარეულო მონასტრებს, სადაც ჰქონდა "სასაფლაო და ძვალი მასალავი", მაგრამ "ცრუქმან სან"ურომ" არ დაინდო და დაასამარა მისი ოცნებები. ახლა მას მით უფრო არ შეძლო რაიმის შეცვლა, რადგან კარზე მომდგარიყო აღსასრული, თუმცა მოსალოდნელი, მაგრამ მაინც ალოვეიკური, აბსურდული, როგორც ნებისმიერი ადამიანის გაქრობა-განქარება. დედა-საქართველოს მოწყვეტილი და ჭოჭიხეთურ განსაცდელთა მორევში მოსროლილი არ დაბნეულა, სულით არ დაცემულა და, რაც მთავარია, არ გადაგვარებულა, საკუთარი გვარ-ქილაგი არ დაიწმენდა. 60 წელზე მეტ ხანს დააქროლებდა მას ზედი "შორეულ სახელმწიფოთა სივრცეებში, მაგრამ ჰუსარის მუნდირისა თუ ამოქარგული პერანგის ქვეშ უღალატოდ ძვრდა ქართული გული, რომელიც ეს-ესაა უნდა გაჩერებულიყო. და ამ სიკვდილისწინა ბოღის ჟამს ხელნაწერის ფურცლებიდან მას კვლავ მოეახლა "შეწარბა და შეხალიანი ერთი ქალი". და ისევ დაჰქროლა სიომ ზუთოვების დაუფიქარი გზიდან, სადაც მას უცნობმა ლამაზმანმა სასურველი შეხვედრა აღუთქვა. იმ ალაგს, სადაც სატრფო თავს დაადგა, "ვით ბნელს ნათლის სვეტი", მეორეც არაერთგზის სწევია, მაგრამ იგი მეტყერ არ გამოჩენილა. "სიკვდილის დროს მე მის მეტი არავინ მაყის მშველი", - აღმოხდა უცებ და თითქოს ამ ამოძახილს გაეპასუხაო, უკანასკნელ წამს კვლავ წინ დაუდგა გულისწინარი. მან ოდნავ შეარჩია დაშაშრული ბავშვები, თითქოს სურდა გაემორჩინა:

"ქვესკნელსა ვარ, ვერა გხედავ. მგულები ცადა, გაეჭები, ნუ გამიწირავ, წამიყვანე მანდა!"

ვეონა, რომ სატრფოს მიმართავდა, რომ როგორც იქნა მიეცა საშუალება გაეშხილა მისთვის უსათუთესი გულისნადები, მაგრამ უცებ ელვა გაკრთა, დაიქუხა და ისლის სახურავზე ზაფხულის თბილი წვიმა აშაპუნდა. გაჰქრა შხეთუნახავი, გაჰქრა ხელნაწერი და დამძიმებულ ქუთუთოებქვეშ მარადიულმა წყდიდიდმა დაისადგურა.

სულ მალე მღვდელი რომან შაფრანსკი მიწვევით ლეთისშობლის ტაძრის სააღაპო წიგნში ჩაწერს, რომ 1792 წლის 21 ივნისს აღესრულა თავადი დავით გურამოვი.

156 წლის შემდეგ უკრაინელი მკვლევარი დმიტრო კოსარიკი აღმოაჩენს ამ საბუთს და პოეტის დაკარგულ საფლავს. უკვდავი წიგნი "დავითიანი" კვლავ დაბრუნდება უკრაინაში, ამჯერად უკვე მიკოლა ბაჟანის მიერ თარგმნილი, და იქცევა პოეტის სიცოცხლე ლეგენდად, სიკვდილი – მკვდრეთით აღდგომად, ხოლო შემოქმედება ორი – ქართველი და უკრაინელი – ერის სულიერი ერთობის სიმბოლოდ.♦

ბუკოლიტინი პейзаჟი იშოი პოემა – «Кацвія-пастух», або «Весела весна», де свідомо або ні одне з одним сплелися грузинський й український картини, дзвеніли вірші, створені за мотивами українських та російських пісень.

Стоячи біля межі свого земного існування, він був повний вагання: чи вірно пройшов він свої 87 років, чи згадають його в рідному краю? Про всяк випадок зарифмував «те, що треба написати на камінь могильний», де згадав прикрашені домами й захисними мурами родові монастирі Зедазени та Шіо Мгвіме, де «кладовище мав і сховище кісток», але «не-чесний світ» не пошкодував та зруйнував його мрії. Тепер він тим більше не міг вже нічого змінити, бо наближався кінець – хоча й очікуваний, але від того не менш алогічний та абсурдний, як і зникнення будь-якої людини. Відірваний від Батьківщини та кинутий у вир адських випробувань, він не розгубився, не втратив присутності духу і, що найголовніше, не виродився, не забув свій родовід. Понад 60 років доля носила його просторами далеких країн, але під мундиром гусара або вишиванкою вірно билося грузинське серце, що мало не-вдовзі зупинитись. І під час цього передсмертного марення зі сторінок рукопису знов прийшла до нього чорноброва, з темною мушкою «одна жінка». Знов повів вітерець з незабутньої Зубовки, де невідома красуня обіцяла йому бажану зустріч. На те місце, де перед його очима вперше постала кохана «не-мов над мороком стовб світла», він приходив ще не раз, але вона так більше і не з'явилася. «В смертну мить нема крім неї в мене більш нікого» вихопилося раптом і, немов у відповідь цей крик, в останню мить перед ним постала кохана. Він ледь-ледь поворухнув потріскані губи, немов хотів повторити:

"Ти не в пеклі – ти на небі, на висотах раю,
Тож візьми мене із пекла, я тебе благаю!"

Гадав, що звертається до коханої, що, нарешті, випала йому нагода відкрити їй усі найніжніші почуття серця, але раптом спалахнула блискавка, прогрімів грім і по очеретовому даху застукотів теплий літній дощ. Зникла красуня, зник рукопис і під зтяжіліми віками запанував довічний морок.

Незабаром священник Роман Шафранскі у церковно-приходській книзі миргородського храма Богородиці запише, що 21 червня 1792 року спочив князь Давид Гурамов.

Через 156 років по тому український дослідник Дмитро Косарик відкріє цей документ та загублену могилу поета. Безсмертна книга «Давітіані» повернеться в Україну, але вже у перекладі Миколи Бажана, а життя поета стане легендою, смерть – постанням з неї, а творчість – символом духовного братерства грузинської та української націй.♦

ქალაქი Мiсто ნელ ქარისა тихого вiтерцю ნეკრესი Некресі

მარინა ბეჟანიშვილი

Марина Бежанішвілі

მდინარე ალაზნის მარცხენა მხარეს, ყვარელიდან დაახლოებით 8 კმ-ის დაშორებით საოცარი სილამაზის ტყეში, ამოზრდილია ძველთაძველ არქიტექტურულ ნაგებობათა მთელი ჯგუფი.

ეს არის ნეკრესი, ქართული სამშენებლო ხელოვნების უაღრესი ნიმუში... იგი ნაშთია იმ უძველესი ქალაქისა, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ მრავალჯერ არის ნახსენები, როგორც ქალაქი „ნელ ქარისა ნეკრესი“.

ნეკრესი თავის ისტორიას შორეული წარსულიდან იწყებს. ლეონტი მროველის ცნობით ის მეფე ფარნაოზს დაუარსებია ჩვენს წელთაღრიცხვამდე 109 წელს. ქართველი მეფეები ყოველთვის ღილ ყურადღებას აქცევდნენ ამ მეტად ხელოსანური მღებარეობის ციხეს, რომლის გარშემოც ღრრათა განმავლობაში ქალაქი გაშენებულა. ნეკრესი ათეული წლების მანძილზე კეთილმოწყობილი ციხე – ქალაქი ყოფილა, ბურჯებით, მტკიცე ზღუდეებით, განძეულით საფე ტაძრებით, სკოლებით, საგაჭრო უბნით და სასახლეებით...

მოგვიანებით, როდესაც საქართველოში ქრისტიანობა (337 წ.) სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, აქ მონასტერი დაარსდა...

ეკლესიებსა და მონასტრებს ქართული თვითმყოფალი კულტურის ზრდა – განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ და სამართლიანად არიან მიჩნეულნი ლიტერატურული მოღვაწეობისა და შემოქმედების ნამდვილ ცენტრებად.

На лівому березі річки Алазані, приблизно за 8 кілометрів від м. Кварелі, посеред напрочуд гарного лісу, немов із землі виростає ціла група стародавніх архітектурних будівель.

Це Некресі – найдавніший приклад грузинського будівельного мистецтва... Це - залишки того стародавнього міста, що неодноразово згадується в літопису „Житіє Картлі“, як «місто тихого вітерцю Некресі». Історія Некресі сягає стародавніх часів. Згідно Леонтія Мровелі (автора «Житія Картлі»), це місто заснував цар Фарнаваз у 109 р. до н.е. Грузинські царі завжди надавали великого значення цій надзвичайно зручно розташованій фортеці, навколо якої згодом було збудовано місто. Протягом десятиліть Некресі був чудово впорядкованим містом-фортецею з баштами, надійними мурами, храмами повними скарбів, школами, торговельним кварталом та палацами.

Згодом, коли у 337р. християнство було оголошено в Грузії державною релігією, у Некресі було засновано монастир...

Церкви та монастирі займають особливе місце у розвитку самобутньої грузинської культури та справедливо вважаються справжніми центрами культури та літературної творчості.

Комплекс монастирів Некресі являє собою ансамбль напрочуд цікавих будівель. Деякі з них відносяться до IV-V століть, інші – до VIII-IX.



ნეკრესი (IV-IX სს.) ციხე-ქალაქი
Некреси (IV-IX ст.), фортеця

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი მეტად საინტერესო ნაგებობათა ანსამბლია. ზოგი მათგანი 4–5 საუკუნეებითაა დათარიღებული, ზოგიც 8–9 საუკუნეებს განეკუთვნება.

აღრინდელი ეკლესიების რიცხვშია ნეკრესის მონასტრის მცირე სამლოცველო, რომელიც „მოქცევაი ქართლისაი“ – ის ცნობით ბაკურის ძმას, მეფე მირიანის შვილიშვილს, თრდატ მეფეს (393–405 წწ.) აუშენებია და ღვთისმოსიან მოღვაწეთაგან უძველესად ითვლება.

მონასტრები, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ჩვენში პირველად VI საუკუნეში ჩნდება, როდესაც საქართველოში სამოღვაწეოდ მოდის ცამეტი ასურელი მამა: დავით გარეჯელი, შიო მღვიმელი, აბიბოს ნეკრესელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, სტეფანე ქიზიყელი, ანტონ მარტკოპელი და სხვები.

ეკლესიის აშენება იმ ადგილზე, სადაც ამჟამად ნეკრესის მეორე მონასტროვანი ნაგებობა – მთავარი ტაძარია, მიწერება ცამეტ მამათაგან ერთ-ერთს – წმინდა აბიბოს ნეკრესელს; მამაც, ბრეგ და ძლიერი ნებისყოფის ადამიანს.

მართლაც დიდებული მაღლობი შეურჩევია წმინდა აბიბოს ტაძრის ასაშენებლად. ამ უღამაშესი ადგილიდან ნათლად მოჩანს თვალწარმოკლე ალაზნის ველი და გომბორის მთა, რომელიც ნეკრესის პირდაპირ ზურმუხტოვან ზოლად არის გაწოლილი. ▶

Одна з ранніх церков – Мала молитовня монастирю Некресі (друга половина IV ст.), яку, згідно з літописом „Навернення Картлі“, було збудовано братом Бакура й онуком царя Міріана царем Трдатом (393-405 рр.). Молитовня вважається найдавнішою з пам'яток, що дійшли до наших часів.

Монастирі, у звичайному розумінні цього слова, вперше з'являються у Грузії в VI ст., коли в країну, з метою розпочати тут свою діяльність, прийшли тринадцять Асурських отців: Давид Гареджійський (Гареджелі), Шіо Мгвімський (Мгвімелі), Абібос Некреський (Некреселі), Йосип Алавердський (Алаверделі), Зенон Ікалтський (Ікалтоелі), Стефан Кізікійський (Кізікелі), Антон Марткопський (Марткопелі) та ін.

Зведення церкви на тому місці, де тепер стоїть друга визначна будівля монастирю – головний храм, приписують св. Абібосу Некреському - одному з тринадцяти отців, хоробрий, дужий людині з великою силою волі. ▶

І дійсно чудову височину обрав святий Абібос для побудови храму. З цієї неймовірно гарної місцини чітко видно дивовижну Алазанську долину та гору Гомборі, що смарагдовою смугою простяглася навпроти Некресі.

У монастирі був склеп та винний льох, а над розташовувалися келії монахів. Перед цією будівлею стоїть вежа. Вона збереглася майже в первинному вигляді та й понині її назива-▶

მონასტერში ჰქონიათ საძვალე და მარანი, მარნის თავზე კი ბერთა სენაკები. ამ შენობის წინ კოშკია აღმართული. მას პირენდელი სახე თითქმის არ შეუცვლია და დღესაც „ნეგრესის სამრეკლო კოშკს“ უწოდებენ, რადგან ლეკიანობის დროს მოსახლეობას მტრის შემოსევის სწორედ სამრეკლო ზარების რეკვით აცუბინებდნენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წმინდა აბიბოსი საქართველოში მიექცეს საუკუნეში ცამეტ ასურელ მამასთან ერთად ჩამოვიდა... ისინი თვით ყოვლადწმინდა ღვთისშობელმა აკურთხა და გამოავაზა. მემატიანე მათ სოფლის განმანათლებლებს უწოდებს, აბიბოსზე კი ასე ამბობს: „მღვდელთმოდოლური უბინო, ნაყოფი შეუნიერი, სანთელი მალღად მნათებარე“. აბიბოსი ნეგრესში მისვლისთანავე დიდი მოციქულებრივ მოღვაწეობას შეუდგა. მალე ეპისკოპოსადაც აკურთხეს, მან ქრისტეს რჯულზე მოაქცია მთიულთა დიდი ხანილი, გაღმა მხარის კახეთი, დააარსა ნეგრესის ეპარქია.

ამ დროს საქართველოში ცეცხლთაყვანისმცემელი სპარსელები ბატონობდნენ და ყველა ძალას ხმარობდნენ თავიანთი რჯულის გასაგრეველად, რისთვისაც მათ მრავლად ააგეს საკერპოები, სადაც ჩაუქრობლად ენთო ცეცხლი. მახლენები ზარ-ზეიმით აღასრულებდნენ თავიანთ ბოროტ წესებს და ქართველთა გადადრეკას ცდილობდნენ.

წმინდა აბიბოსი ნეგრესელი დაუთალავად დადიოდა თავისი ეპარქიის სოფლებსა და დაბებში, ჭეშმარიტებას უქადაგებდა ქართველებს და სიმტკიცისაკენ მოუწოდებდა. ერთხელ მღვდელთმთავარმა ნახა, რომ სპარსელები ქართველებს ცეცხლის თაყვანისცემას აიძულებდნენ. აბიბოსმა ვერ მოითმინა ასეთი თავხელობა, წყალი გადაასხა ცეცხლს და ჩააქრო.

განრისხებულმა ურჯულოებმა შეიპყრეს ეპისკოპოსი, სასტიკად სცემეს და ცოცხალ-მკვდარი საპყრობილეში ჩააგდეს. შემდეგ კი თავიანთ მეთაურს – მარზანს მიჰგვარეს, რომელიც სოფელ რესში იმყოფებოდა. მარზანმა მკაცრად პკითხა: რატომ მოჰკალი ჩვენი ღმერთი? აბიბოსი ნეგრესელმა მშვიდად მიუგო: მე თქვენი ღმერთი კი არ მოგვკალი, მხოლოდ ცეცხლი ჩააქრე. როგორ შეიძლება ცეცხლი ღმერთი იყოს, როცა მისი მოკვლა მცირედენ წყალს შეუძლიათ. პასუხმა მარზანი არა თუ გონს მოიყვანა და დააფიქრა, არამედ კიდევ უფრო განარისხა და წმინდა მამის წამება ბრძანა.

ჯალათებმა ეპისკოპოსის წმინდა ცხედარი ქალაქგარეთ გაათრიეს, დააგდეს ცხოველთა და ფრინველთა სატყუანად და ქრისტიანთაგან რომ არავის არ წაესვენებინა მკვლელები მოუჩინეს. მოუხედავად ამისა, ღამით რესის მღვდლებმა და ბერებმა მანქნ მოახერხეს ნეშტის გამოხსნა და სამთვისის მონასტერში დიდი პატივით დაასაფლავეს. ქართლის ერისთავის სტეფანოზის დროს კი მღვდელმონაზიმის უბრწელო ნაწილები სამთვისიდან მცხეთის სამთავრო მონასტერში გადაასვენეს და წმინდა ტრაპეზის ქვეშ დაკრძალეს...

„დვინიციუ Некресі“, оскільки саме звідти у часи нападу лезгінів дзвоном попереджали населення про наближення ворогів.

Як тут вже говорилося, Святий Абібос прибув до Грузії у VI ст. разом із тринадцятьма Асурськими отцями... Їх освятила сама Пресвята Богоматір та відправила до Грузії. Літописець називає їх просвітителами країни, про Абібоса же пише наступне: „Першосвященник пречистий, плід прекрасний, свічка, що високо світить“.


Абібос розпочав велику проповідницьку діяльність, щойно він прибув до Некресі. Невдовзі ставши єпископом, він на вернувшись до християнської віри більшу частину жителів прилеглої до Кахеті Мтіулеті, та заснував єпархію Некресі.

У ті часи в Грузії панували перси-вогнепоклонники, які докладали усіх можливих зусиль для поширення своєї віри. З цієї метою вони збудували безліч ідолопоклонницьких споруд, де ніколи не згасав вогонь. Вогнепоклонники урочисто проводили свої паганські церемонії та намагалися примусити грузинів прийняти їхню віру.

Святий Абібос Некреселі невтомно обходив поселення своєї єпархії, проповідуючи грузинам слово Христа, та закликаючи до стійкості віри. Одного разу первосвященник побачив, як перси змушують грузинів вклонятися вогню. Абібос не потерпів такої наруги, та залив вогонь водою.

Розгнівані язичники схопили єпископа, жорстоко побили та напівживого кинули у в'язницю. По тому ж доставили в Рехі до марцпана – правителя області. Марцпан запитав чоловіка: «Чому ти вбив нашого бога?» Абібос Некреський спокійно відповів: «Я не вбивав твого бога, а лише загасив вогонь. Як можна припустити, що вогонь і є богом, якщо його можна загасити жменем води?». І хоча й відповідь змусила марцпана замислитися, але після того він ще більше розізлився та віддав святого отця на жорстокі катування.

Кати протягнули святий труп єпископа вулицею за містом і кинули на поживу звірям та птахам, а щоби хтось із християн не забрав його, приставили до нього охорону. Попри це, вночі реські священники й монахи все ж зуміли визволити тіло святого та з великою шаную поховали у монастирі Самтвісі. А під час володарювання в Картлі Стефаноза нетлені мощі святого мученика перенесли із Самтавісі до Мцхетського монастиря та поховали у трапезній церкві.





ნეკრესი (IV-V სს.) მონასტერი, კოშკი
ნეკრესი (IV-V სს.) მონასტერი, კოშკი



ნეკრესის ეპარქია საკმაოდ ძლიერი და გავლენიანი ეპარქია იყო, მის ეპისკოპოსს სასპასპეტო დროშები ებარა. ნეკრესს საკუთარი ჭარიც ჰყავდა და ომიანობის დროს ბრძოლაში გაჰყავდა. ნეკრესის მონასტერს ჰყავდა თავისი ყმებიც, რომელთაც „ნეკრესიანელი“ ეწოდებოდათ.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ნეკრესი უკვე ქალაქად აღარ იხსენიება და რადგან საეპისკოპოსო რეზიდენციის იქ დატოვება შეუძლებელი შექმნილა, ის ჯერ გრემში, შემდეგ კი შილდაში გადაიტანიათ.

ასეთია ძალიან მოკლე ისტორია ნეკრესისა, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ციხე – ქალაქისა, რომელიც დროთა განმავლობაში გამქრალა და მის ნაფუძვარზე ნეკრესის მონასტერი ამოზრდილა.

ამჟამად ნეკრესის ნაქალაქევი თითქმის უღრანი ტყით არის დაფარული და უდაბურია, მაგრამ მისი შესანიშნავი ადგილმდებარეობა, ძვირფასი არქიტექტურული ნაგებობანი და თვითონ ტაძრის სილამაზე დღესაც გავაოცებთ უნიკალური ფორმებითა და მაღალი გემოვნებით.♦

Третья культовая споруда Некреси – це церква з хрестом та куполом, яку відносять до VIII-IX ст. Храм має середні розміри та вирізняється своїм чудовим архітектурним.

Єпархія Некреси була досить потужною та впливовою. Її єпископ охороняв військові прапори. Некреси мав і власну армію, та під час війни єпископ виводив її на поле битви. Мав монастир і своїх кріпаків, які звалися «некресіанцями».

У кінці XVIII ст. Некресі вже не згадується як місто. Залишити там єпископську резиденцію стало неможливим та її перенесли спочатку в Грემі, а потім – у Шилда.

Такою є коротка історія Некреси, одного з найдавніших міст-фортець Грузії, що з плином часу зник, а на його фундаменті постав монастир.

Зараз місце, де колись було місто Некреси, майже спустошено та вкрито непролазними хащами, але його чудове розташування, коштовні архітектурні пам'ятки та сама дивовижна краса монастиря і сьогодні дивують унікальними формами та вишуканим смаком.♦

თამარის მიწ ხიდი Тамар

სოსო ჩოჩია Сосо Чочіа

ლევენდა მოვეითხრობს:

უხსოვარ დროში ჩვენს მიწას უცხოტომელები დაესხნენ თავს. ისინი წვავდნენ ქალაქებს და ადამიანებს ტყვედ იტაცებდნენ. თითქოს პირისაგან მიწისა უნდა აღველიოყო საქართველოს ის ნაწილი, დღეს რომ აფხაზეთად იწოდება. უცხოტომელებმა მთელი სანაპირო დაიპყრეს. მხოლოდ ერთი მუჟა მამაცი მეომარი იბრძოდა: თავგამოდებით ესმოდნენ დამპყრობლებს კავკასიონის მთისწინეთიდან და ყოველნაირად ავიწროებდნენ. ფიცით შეიკრნენ. რაღაც არ უნდა დაჭლოდათ, გაენთავისუფლებინათ მშობლიური მიწა—წყალი. მათი ურყევი გადაწყვეტილება სიმტკიცეს მატებდა და გამარჯვების იმედს ულევებდა სულიერად სუსტთ.

(მამაცმა მეომარებმა) შეთქმულება, რომელთაც რამდენიმე რაზმი შეუერთდა, გადანწყვიტეს ზურგიდან დასხმოდნენ თავს დამპყრობელთა არმიას, მაგრამ ამისათვის ხეობაზე ხიდის აგება იყო საჭირო. ხელთ კი მხოლოდ მთის ქვა—ღორღი და ქვიშა ჰქონდათ. მაშინ მთელს აფხაზეთს მოედო მოწოდება: „დაე, ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლება, მაცნე—მიერიკეთ ქათმის კვერცხი მისცეს“—ო. უკვირდა ხალხს, ვერვინ მომხედარიყო, თუ როგორ შეძლო მოეტანა ქათმის კვერცხს მათთვის ნანატრი თავისუფლება. ერთ დღე—ღამეში ორმოცი ათასი კვერცხი შეგროვეს. გამოკდილმა ოსტატებმა ქვიშისა და კვერცხისაგან ღერადი მოაშაბდეს და ხიდი ერთ ღამეში ააგეს. სამი დღის შემდეგ კი ერთი მუჟა მამაც მეომართა რაზმი ზურგიდან ეკვეთა დამპყრობლებს და მათ ზღვაში გადაუძახეს. აფხაზეთმა და მისმა ხალხმა თავისუფლება და სიხარული მოიპოვა. ბესლეთის თაღვანი ხიდი, უძველესი დროიდან შემონახული და ჯამის მიერ თითქმის ხელუხლებელი ნაგებობაა. იგი სოხუმიდან 6 კმ-ის მოშორებით მდებარეობს,

За легендою, у давні часи на грузинську землю напали чужинці. Вони спалювали міста, а людей забирали у полон. Здавалося, що та частина Грузії, яка зараз зветься Абхазією, була приречена на знищення. Чужинці захопили все узбережжя. Тільки купка сміливих воїнів боролася із ними, завзято нападаючи на загарбників із передгір'їв Кавказу. Вони запряглися звільнити рідну землю, чого б це їм не коштувало. Їхня рішучість додавала стійкості та надію на перемогу тим, хто був слабкий духом.

Хорообрі воїни, до яких приєдналося декілька загонів, вирішили напасти на армію загарбників з тилу, але для цього необхідно було звести міст в ущелині, а в них під рукою не було нічого, крім щебеню та піску. Тоді по всій Абхазії поширився заклик: „Нехай кожен, кому дорога воля, дасть гінцям курячі яйця!“ Люди здивувалися — ніхто не міг збагнути, яким чином куряче яйце могло принести жадану свободу. За одну добу було зібрано 40 тисяч яєць. Досвідчені майстри з піску та яєць виготовили розчин для укріплення і за одну ніч збудували міст. А за три дні нечисленний загін вдарив по загарбникам із тилу та відтіснив їх, скинувши у море. Абхазія та її народ здобули жадану свободу та радість.

Беслетський ачорний міст — це споруда, що збереглася з давніх часів, майже не зазнавши руйнування. Він знаходиться за шість кілометрів від м. Сухумі, на вході до неймовірно гарної ущелини, там, де протікає річка Беслеті.

Беслетський міст — єдина в Абхазії споруда такого призначення. Він гарно зберігся і справедливо вважається блискучим витвором грузинського будівельного мистецтва часів Середньовіччя. Проліт моста, який являє собою цілісну кам'яну тринадцятиметрову арку, зведений із квадратних вапняних плит. Камені, з яких зведено проліт, відшліфували, надали їм загострену форму та





ბესლეთი (XI-XII სს.) თამარის ხიდი

Бешлепи (XI-XII ст.) Мост Царицы Тамар

WWW.KOLHIDA.RU



WWW.KOLHIDA.RU

თვალწარმტაცი ხეობის დასაწყისში, იქ, სადაც მდინარე ბესლეთი მიედინება.

ბესლეთის ხიდი — აფხაზეთში მსგავსი დანიშნულების ერთადერთი ნაგებობაა. იგი დღემდე კარგადაა შენარჩუნებული და სამართლიანად ითვლება შუა საუკუნეების საქართველოს სამშენებლო ხელოვნების ბრწყინვალე ქმნილებად. ხიდის კამარა, რომელიც ქვის ერთმთლიან ცამეტმეტრიან თაღს წარმოადგენს, აგებულია კირქვის კვადრატული ფილებისაგან. კამარის ქვები გათლილია, წვეტებიანი ფორმა აქვთ მინიჭებული და კირითაა გამაგრებული—შედუღებული. მისი ტვირთამწევობა 8 ტონას აღწევს. ხიდის გვერდითი წახნაგის გათლილ ფილებზე ქართული ასომთავრულით ამოტვიფრული წარწერა პალეოგრაფიული ნიშნებით XI–XII საუკუნეებს განეკუთვნება.

ხიდის მარჯვენა ნაპირის ბურჯის ქვედა ნაწილში შენარჩუნებულია ჭერისა და ასო „თ“—ს გამოსახულება. ძველად აქ ხეობისაგან მისავალი დიდი სამხედრო—სტრატეგიული მნიშვნელობის გზა გადიოდა. ხიდის მიდამოებში დღესაც მოჩანს საომარი კოშკ—ქონგურების ნანგრევები, რომლებიც ხიდსა და ხეობის შესასვლელს მტრის თავდასხმებისაგან იცავდა.

არსებობს კიდევ ერთი თქმულება, თამარ მეფის (1184–1213) აფხაზეთში ყოფნას რომ უკავშირდება. იგი თითქმის სწორად გადადიოდა ამ ხიდზე თავისი ამალით და ტყებოდა მისი შემოგარენის სიმშენიერით. ამიტომაც უწოდებია ხალხს მისთვის თავინათი საყვარელი მეფის სახელი—„თამარის ხიდი“. იგი 800 წელზე მეტია დგას დროუამისაგან ხელუხლებელი და იმედია, კვლავაც დიდხანს დაატკბობს ქართველი და აფხაზი კაცის თვალს, გულსა და გონებას!

ღმერთმა ინებოს...◆



სკრიპილი вапном. Вантажність моста сягає 8 тон. Надпис давнім грузинським письмом Асомтаврuli, вирізьблений на бокових гранях відшліфованих плит, відносять до XI-XII століття.

У нижній частині опори лівої сторони моста збереглося зображення хреста і грузинської літери „Т“. В давнину тут проходив шлях, що вів до ущелини і мав велике військово-стратегічне значення. Поблизу моста й досі видно руїни військових башт, які захищали від нападу ворогів сам міст і вхід до ущелини.

Існує ще одна легенда, що пов'язана із перебуванням цариці Тamar (1184-1213) у Абхазії. Говорять, ніби вона часто переходила через міст разом зі своїм почтом та насолоджувалася навколишньою красою. Тому й назвав народ цей міст на честь улюбленої цариці — „Міст Тamar“. За більш ніж 800 років, що він стоїть, час майже не торкнувся його, і є надія, що ще довго він тішитиме зір, серця та розум грузинів та абхазів!

Хай буде на це воля Божа...◆



თემო სვირელი

Темо Свірелі



თემო სვირელი დაიბადა 1964 წელს ცხინვალში. დაამთავრა ცხინვალის სამხატვრო სასწავლებელი და თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. 1998 წლიდან არის საქართველოს მხატვართა საერთაშორისო კავშირის – GIFA–სა და შემოქმედებითი გაერთიანება БЖарт-ის წევრი. ამჟამად ცხოვრობს და მოღვაწეობს კიევში.

“...საშუალო, როგორც თენოშენთა უწყვეტი, მარადიული ცვალებადობის მინიფესტაცია, შემოქმედებითი ენერგიის უწყვეტი ნაკადი. ერთადერთი დაბრკოლება გზაზე – პირადი ევოიზმი, თავისუფლების იმპულსის იგნორირება.”

Темо Свірелі народився в 1964 р. у Цхінвалі. Закінчив Цхінвальське художнє училище та факультет живопису Тбіліської художньої академії. З 1998 р. є членом Міжнародної грузинської федерації художників - GIFA та творчого об'єднання БЖарт. На цей час живе та працює в Києві.

“Прояви світу завжди цікавили мене і як митця, і як людину. ... Я би хотів, щоб у моїй творчості відбилися не моє «Я», а мої стосунки зі світом, найрізноманітніші нюанси буття...” www.svirely.com



გია მიმინოშვილი Giya Miminoshvili

გია მიმინოშვილი დაიბადა თბილისში 1958 წელს. ბავშვობა იმერეთში, სოფელ ბაში გაატარა.

1983 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის მინა-კერამიკის განყოფილება.

1987 წელს მიიღო მეორე უმაღლესი განათლება: დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კინო-ფოტო განყოფილების ფაკულტეტი. კიევში მოღვაწეობს 1990 წლიდან.

გიას ნამუშევრები ყოველთვის იმპრობენტის სპეციალისტებისა და მხახვლების ყურადღებას ფორმის არასტანდარტულობით და უჩვეულო ტექნიკური გადანწყვით. მისი შემოქმედება მუდამ ორიგინალური, პლასტიკური, მონუმენტალური და ღრმად ფილოსოფიურია...

Giya Miminoshvili was born in Tbilisi in 1958. His childhood passed in the village of Bashi (Imereti, Western Georgia).

In 1983, Giya graduated from the Tbilisi Art Academy, Faculty of Decorative and Applied Arts. In 1987, he received further education - graduated from the Faculty of Cinema and Photography of the Tbilisi Polytechnical Institute. He lives in Kyiv since 1990.

His works always attract the attention of specialists and non-specialists by the non-standard forms, the uniqueness of technique. His creativity is always original, plastic, monumental and deeply philosophical...





დავით შარაშიძე Давид Шарашидзе


დავით შარაშიძე დაიბადა 1959 წელს თბილისში. 1986 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1953 წლიდან არის ოუჩესკოს საერთაშორისო სამხატვრო კავშირის წევრი. 1993 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს კიევში.

“შე ბედნიერი ადამიანი ვარ, არ ვჩქვრობ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ამ ქვეყნად ყველაფერს თავისი განსაზღვრული დრო და ადგილი აქვს. ამიტომ ჩემი ფერწერული ტილოები სავსეა სიმშვიდით, პარმონით, სითბოთი და სილამაზით...”

Давид Шарашидзе народився у 1959 р. у Тбілісі. У 1986 закінчив філологічний факультет Тбіліського державного університету. З 1993 – член Міжнародної федерації художників ЮНЕСКО. З 1993 живе і працює в Києві.

Про себе художник говорить: *“Я - щаслива людина, я ніколи не поспішаю тому що впевнений, що всьому на цій землі є місце та час. Може саме тому мої полотна наповнені спокоєм, гармонією, теплом і красою...”*





ბადრი ღუბიანური

Бадрі Губіанурі

ბადრი ღუბიანური დაიბადა 1962 წელს თიანეთში. 1985-89 წ.წ. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიასთან არსებულ სამხატვრო სტუდიაში კ.თევზაძესთან. 1989 წლიდან ცხოვრობს და მოღვაწეობს კიევში.

ბადრის ფერწერა არაფიგურალურია. მისი ნამუშევრები სცილდებიან დროსა და სივრცეს და მნახველს სულიერი და ფიზიკური დასვენების საშუალებას აძლევენ...

Бадрі Губіанурі народився в 1962 році в Тіанеті (Грузія). У 1985-89 рр. навчався в художній студії К.Тевзадзе при Тбіліській художній академії. З 1993 року художник живе і працює в Києві.

Живопис Бадрі Губіанурі - нефігуративний. Його картини виходять за межі часу та простору і дають змогу глядачеві відпочити як духовно, так і фізично... www.gubianiuri.com



ჩვენ და უკრაინელები

გურამ პეტრიაშვილი

Ми та українці

Гурам Петріашвілі

უკრაინელები კაი ხალხია.

ჩვენ ბევრი რამ გვაკავშირებს მათთან.

რაც მთავარია, ქართველებიც და უკრაინელებიც მიწათმოქმედი ხალხი ვართ.

რა იყო ჩვენი ისტორია და მათიც? ეს იყო ხენა-თესეა, ბრძოლა

ღამპრობოლებთან და ქმნა თვითმყოფელი კულტურისა.

როცა ზღვისპირას მცხოვრები ზოგიერთი ერები მთელს მსოფლიოს იყვნენ მოღიბებული სხვათა დასაპყრობად და საძარცვ-საგლეჯად, უკრაინელები და ქართველები ზღვისკენ ზურგშექცეული ვუსხედით სუფვას შრომით დაღლილნი და... ესეამდით და მღეროდით.

ჩვენი მიწა გვიყვარდა და სხვისი არ გვჭირდებოდა.

ბედის განგებით მოხდა ისე, რომ საქართველომ შეიფარა დიდი უკრაინელი პოეტი ლესია უკრაინკა, რომელმაც ნათელი გადაგვფინა გულზე ქართველებს წრფელი, სიყვარულიანი სიტყვებით:

უკრაინელი რომ არ ვყოფილიყავი, მხოლოდ ქართველად ყოფნას ვისურვებდიო.

უკრაინას უნდა ვჟმადლოდეთ, რომ გვყავს კიდეც ერთი ბუმბერაზი პოეტი დაეით გურამიშვილი.

აქ შექმნა მან თავისი "დავითიანი".

ლესია უკრაინკა და დაეით გურამიშვილი არიან სიმბოლოები ჩვენი ქვეყნებისა და ერების ურთიერთკავშირისა.

ხოლო ცალკეული კავშირი ქართველისა უკრაინასთან და უკრაინელისა საქართველოსთან უაღრესია.

ღიღებულნი საქმე ქმნეს უკრაინულმა კულტუროლოგიულმა აღმასახმა "ქრონიკამ" და ჩვენმა საელიზოებმა (საქართველოს საელიზო უკრაინაში, უკრაინის საელიზო საქართველოში). მათ გამოსცეს "ქრონიკის" სამი დიდი ტომი, რომლებიც ეძლეება უკრაინისა და საქართველოს ურთიერთკავშირებს (Хроніка — 2000, №43, №44, №47-49). როგორც ვიცი, ამ სამი ტომის ქართულად გამოცემაზე უკვე ზრუნავენ პარტნიორები ორივე ქვეყანაში.

ჩვენი ერების მეგობრობა არაა დროებითი პოლიტიკური კონიუნქტურის შედეგი.

გვაქვს უამრავი მიზეზი, რომ ქართველებს და უკრაინელებს ერთმანეთი გვიყვარდეს.

ხოლო ჩვენი ცალკეული ქართველებისა და უკრაინელების ვალია მოეუფრთხილდეთ მეგობრობას.. ამ მეგობრობის უბირველეს პირობად კი ის მიმაჩნია, რომ არ უნდა ჩავერიოთ (არც ნებით და არც უნებლიედ) ერთმანეთის საშინაო პოლიტიკურ ამბებს.

არის ასაბრეზი, სადაც უნდა გაშალოს ფრთა მეგობრობამ.

ესაა კულტურა, განათლება და მეცნიერება.

აქტიურად უნდა ვითანამშრომლოთ ამ სფეროებში, გააცნოთ ერთმანეთს ჩვენი იდეები, მიზნები და მიღწევები და მხარში ვეცდეთ ერთმანეთს.

გაუმარჯოს საქართველოს!

ხაი ჟიფე უკრაინა!

Українці – гарний народ.

Нас із ними багато чого пов'язує.

Найголовнішим є те, що й ми, й українці – народи-землероби.

Якою була й наша, та їхня історія? Ми орали й сіяли, боролися із загарбниками та створювали наші самобутні культури.

У той час, як деякі з народів, що мали вихід до моря, були розпорошені по всьому світові, завойовуючи та розорюючи інші країни, українці та ми, грузини, сиділи втомлені працею за сто-лою спиною до моря і... пили й співали.

Ми любили свою землю і чужа нам не була потрібна.

Так склалася доля, що Грузія прихистила велику українську по-етесу Лесю Українку, яка світлом радості осяяла серця грузинів своїми щирими люблячими словами: "Якби я не була українкаю, то схотіла би бути лише грузинкою".

Маємо бути вдячними Україні за поета Давіда Гурამішвілі. Тут він створив свій твір "Давітіані".

Лесьа Українка та Давід Гурამішвілі є символами взаємозв'язку між нашими країнами та народами.

А ось окремих зв'язків між грузинами та Україною та українця-ми та Грузією існує безліч.

Велику справу зробили український культурологічний альманах "Хроніка" та наші посольства (Посольство Грузії в Україні, Посольство України у Грузії). Вони видали три великих тома "Хроні-ки", присвячених взаємозв'язкам між Україною і Грузією ("Хро-ніка-2000" №43, 44, 47-49). Як мені відомо, питанням видання цих трьох томів грузинською мовою вже займаються партнери в обох країнах.

Дружба наших народів не є наслідком тимчасової політичної кон'юнктури.

Ми, грузини й українці, маємо безліч підстав, щоб любити одне одного.

Кожен грузин та українець повинен турботливо ставитися до нашої дружби. Я вважаю найголовнішою умовою цієї дружби нашу відмову втручатися (чи то за власною волею, чи то нена-вмисне) у внутрішньополітичні справи одне одного.

Проте є галузі, у яких дружба має розправити свої крила.

Це - культура, освіта та наука.

Ми повинні активно співпрацювати у цих галузях, знайомити з власними ідеями, цілями та досягненнями і підтримувати одне одного.

Гаумарджос Сакартвелос!

Хай живе Україна!

პროექტის ავტორი:
ბესიკ შამუგია

Автор проекту
Бесік Шамугія

რედაქტორი:
მარინა ბეჟანიშვილი

Редактор:
Марина Бежанішвілі

თარგმანი:
ირინე პეტრიაშვილი
გურამ პეტრიაშვილი
ლექსო ოსტროვსკი

Переклади:
Іріне Петріашвілі
Гурам Петріашвілі
Олексій Островський

დიზაინი
და კომპიუტერული უზრუნველყოფა

Дизайн
та комп'ютерне забезпечення

G&V studio

დავით სეხნიაშვილი
ვიქტორ მიხაილევიჩი

Давит Сехніашвілі
Віктор Михалевич

ფოტოგრაფები:
მარინა ბეჟანიშვილი
ლალი აბსავა
ანდრეი ტოვსტიჟენკო

Фотографи:
Марина Бежанішвілі
Лалі Абсава
Андрій Товстиженко

„უკრაინის ქართველთა ასოციაცია „იბერიელი“
მადლობას უხდის უკრაინის ეროვნულ უმცირესობათა და
მიგრაციის სახელმწიფო კომიტეტს
პროექტის დაფინანსებისათვის

Асоціація грузин України „Іберієли“
висловлює щире подяку Державному комітету України
у справах національностей та міграції
за фінансування проекту

კიევის ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი
მადლობას უხდის კიევის №102-ე სკოლის
ადმინისტრაციას და განსაკუთრებით მის დირექტორს,
ბატონ ივანე კოჩუბის, დახმარებისა და თანადგომისათვის

Грузинський культурно-просвітницький центр
висловлює велику подяку адміністрації школи №102 м. Києва
і особливо директору п. Ігорю Кочубею,
за допомогу та підтримку



